

აღზრდის დემოკრატიული სისტემა და მშობლის დაძლეული ეგო
(ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით)

აბსტრაქტი: ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ მრავალპლანიანი ნაწარმოებია, მრავალ მკვლევარს მიუქცევია ყურადღება. სახელდადებულა, რომ ოთარაანთ ქვრივი არის განსაკუთრებული დედა. მისი ვაჟი, გიორგი - ღირსეული ადამიანი. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ აღზრდის სისტემაზე, მშობლის ფსიქოტიკსა და მის როლზე ასეთი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

აღზრდის სისტემებზე, მშობელთა ფსიქოტიკებზე უამრავი გამოკვლევა და თეორიული მასალა არსებობს. ცხადია, ოთარაანთ ქვრივის, როგორც მშობლის მოდელი, არ არის ცოდნის შედეგი (თუნდაც იმ მიზეზით, რომ მან წერა-კითხვაც არ იცოდა), ეს მისი ბუნებითი მდგომარეობაა. ილია ჭავჭავაძემ მხატვრულ ღირებულებასთან ერთად, მიგნებული ფსიქოლოგიური წიაღსვლებით გამოძერწა ოთარაანთ ქვრივი - „ფარხმალიანი ქალი და შინაგანი წვდომით ფაქიზი დედა.

ყურადღება გავამახვილეთ ასევე XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსული იმპერიის მიერ დაპყრობილ საქართველოში პედაგოგიური აზროვნების პროგრესულ ხასიათზე, რაც ფაქტობრივად დროს უსწრებდა (იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) და მათი თანამოაზრეების მოღვაწეობა ამის დასტურია.)

ოთარაანთ ქვრივი დედაკაცობის ზოგადი მხატვრული სახეა, ამიტომაც მას საკუთარი სახელი არ ჰქვია. სტოიციზმის - უტეხი სულიერი წყობის უმთავრეს დადასტურებად ვთვლით დედის მიერ გიორგის მოჯამაგირეობის დათმობას. აქ დასაძლევია არა მხოლოდ მშობლის, მსხვერპლისუნარიანი დედის, ეგო („ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს“), ბუნდოვანია გიორგის მომავალიც. ოთარაანთ ქვრივი გადაწყვეტილებას შვილის პოზიციიდან ღებულობს. სულის დუღილით, გულის ტეხით მის ნებას დაჰყვება: „დეე, თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკი თვითონ არ იშლის.“

ვასკვნიტ, რომ ოთარაანტ ქვრივი არის ავტორიტეტული მშობელი, ხოლო აღზრდის სისტემა - დემოკრატიული. გიორგისათვის დედა არის მოდელი სამართლიანობისა, სიტყვისა და საქმის ერთიანობისა, უანგარო სიკეთისა. მშობელი თანაზიარობისა და თანაგანცდის, უსაფრთხო ემოციურ გარემოში ზრდის ვაჟს. ნიშანდობლივია, რომ ნაწარმოების სათაურშივე ხაზგასმულია ქვრივის სტოიციზმი. ის დედაკაცია და არა - ქალი (ილია ჭავჭავაძის განმარტებით, „დედაკაცი ფარხმალიანი ქალია, ქალი - უფარხმალო დედაკაცი, ქალი პეპელაა, დედაკაცი - ფუტკარი“).

საკვანძო სიტყვები: პედაგოგია, მშობლის ფსიქოტიპი, სტოიციზმი.

„ილია ჭავჭავაძე მუხა იყო უდაბნოში“.

მიხეილ ჯავახიშვილი

„წარმოუდგენელია ინტელექტუალური ცხოვრება ჩვენში უილიაოდა, ილიას გარეშე, წარმოუდგენელია და შეუძლებელი“.

ოთარ ჩხეიძე

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანტ ქვრივი“ მრავალპლანიანი ნაწარმოებია, დაწყებული სათაურის ესთეტიკით, დამთავრებული მოთხრობის ბოლო ფრაზებით:

„მართლა რომ ცოდოა!

მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?“

ერთიც ეს არის საჭირობოტო და წყევლაკრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“ (ქართული პროზა 1985: 318), რაც ხაზს უსვამს ადამიანური სამყაროს მრავალ სატკივარს. ცნობილია იაკობ მანსვეტაშვილის მოგონება ამ ნაწარმოების შექმნის, მისი „ნათლობისა“ და თანამოაზრეთაგან პირველი განხილვისა. გრ. ვოლსკის უთქვამს, მოთხრობას „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდიო. ილიას აკრიტიკებდნენ: კესოს გულცივობის მიზეზი გვარიშვილობა არ არის, ჩატეხილი ხიდის გამთელება სწავლა-განათლებას შეეძლოო. იწყუნებდნენ ნაწარმოების დამთავრებას გიორგის სიკვდილით და ა.შ.

„ოთარაანთ ქვრივის“ უმთავრეს იდეაზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ არტურ ლეისტის მოგონებას, რომელიც დაიბეჭდა „ბახტრიონის“ (1922, N 10) ფურცლებზე. იგი იხსენებს მწერლის სიტყვებს „ამ მოთხრობაში მე მინდა გავლენა მოვახდინო მათს (გლეხების) ზნეობრივ თავისუფლებაზე“. ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის მთავარი პერსონაჟი ადამიანია. სახელმწიფოებრიობაწართმეულ ქვეყანაში უმთავრესი საზრუნავი იყო განათლებისთვის, გაცნობიერებული თავისუფლებისთვის ბრძოლა, რადგან „სადაც არის სული უფლისა, იქა თავისუფლება“ (წმიდა სილუანი, ღსმე 2007: 188.) ზნეობითი თავისუფლების ჩამოყალიბების გზა, ილიას აზრით, რწმენისა და ცოდნის, წარსულისა და აწმყოს მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვია. იგი იცნობდა ქართველ გლეხს თავისი ღირსებითა თუ ნაკლით; იცოდა, რომ „იქა სდულს ძარღვებში მოარული სისხლი“. არტურ ლეისტის მიუთითებს: „მრავალგზის დაუყენებია მაღლა ქართველი გლეხის ზნეობა ეგრეთ წოდებულ განათლებულ ერებზე“ („ბახტრიონი“ 1922, N 10 – ambebi.ge.)

„ოთარაანთ ქვრივის“ მთავარ პერსონაჟს - ოთარაანთ ქვრივს ნაწარმოებში საკუთარი სახელი არ ჰქვია. ამ მხატვრულ-ფსიქოლოგიური ჩანაფიქრის გახსნაში თვით ავტორი გვეხმარება დედაკაცობის არსის განმარტებით: „ქალი, გასათხოვარია თუ გათხოვილი, შვილებიანია თუ უშვილო- მარტო სულიერ ასაკოვნებით მიაღწევს დედაკაცობამდე.. . ქალი პეპელაა და არა ფუტკარი, ქალისთვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისთვის - სახლია პატოსანის შრომისა“ (წერილები 2010: 19.) ოთარაანთ ქვრივი სწორედ დედაკაცობის განზოგადებული სახეა და არა კერძო შემთხვევა. ის 24 წლისა დაქვრივდა და მიიღო ურყევი გადაწყვეტილება: „აი, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა“ (ქართული პროზა 1985:295). ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ „იქ“ პირნათელი უნდა შეხვედროდა თავის მეუღლეს. უერთგულა, ანდერძიც შეუნახა, სარჩო -საბადებელსაც თუ არ მიუმატა, არა დააკლო-რა.

„დედაკაცი ფარხმალიანი ქალია“ (ილია) - ცხოვრების წესით, თქმისა და ქმნის გამთლიანებით, უსამართლობის წინაშე შეუდრეკლობით ოთარაანთ ქვრივი დედაკაცია - გამორჩეული სტოიციზმით, რაც უხილავი ფარ-ხმალია მისთვის.

„ოთარაანთ ქვრივი“ უამრავჯერ განხილული და ინტერპრეტირებულია; ვიცით ქვრივის ერთგულება, უანგარო სიკეთე, სამართლიანობა, სიტყვისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, შრომისმოყვარეობა, ყაირათიანობა. მწერალი გვაძლევს გიორგის,

ოთარაანთ ქვრივის ვაჟის, ასევე სრულყოფილ პორტრეტს. გიორგი არის: გარეგნობით - 21 წლის ბიჭი (მოთხრობის დასაწყისში) „თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო... იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ“ (ქართული პროზა 1985: 300). ეს იშვიათი ღიმილი, ასე ხაზგასმული გიორგის დახასიათებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტრიხია. გიორგი ქრისტეშობას დაიბადა (ესეც შემთხვევითი არ არის. „სრულქმნილების ელფერის“ მინიშნებაა (აკ. ბაქრაძე). ასეთი ღიმილის შესახებ ნიკოლოზ სერბი ამბობს: „რაზე მიგვანიშნებს ეს ღიმილი, თუ არა იმაზე, რომ ეს მიწიერი სიხარული მალე მწუხარებით შეიცვლება, მწუხარებას კი სიხარული მოსდევს“ (წმიდა ნიკოლოზ სერბი 2003: 18) გიორგის სამყაროში ქვეცნობიერად, ხელდასხმული სულიერი სიჯანსაღით გახსნილია მაკროკოსმოსის განცდა. გარეგნობიდანვე ხაზგასმულია შინაგანი წესრიგი, მისი ქალამანიც კი გიდასტურებდათ, რომ „ჩვენებური გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს“.

ხასიათი - „ტოლ-ამხანაგობას აგრერიგად არ ეწყობოდა და თუ როგორმე ჩაერევოდა, პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ“. სამართლიანია. ამას რამდენიმე ეპიზოდი ადასტურებს ნაწარმოებში: კონფლიქტები კუპრაანთ თედოსთან, ომარაანთ მოჯამაგირესთან, არჩილის მეჯინიბესთან. კუპრაანთ თედოს სუსტის დაჩაგვრის გამო დაუპირისპირდა, დანარჩენ ორ შემთხვევაში „საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაჰყროდა“ და ეს ვერ აიტანა.

შრომისმოყვარეობა - „საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანი“ (დედის დახასიათებით „ხელგამომავალი“ და „გამრჯელია“).

შესაკრებელი გიორგის ზნესრულობისა: „მისი სინდისი მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია... სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას“ (არჩილის დახასიათებით).

ოთარაანთ ქვრივი და მისი ვაჟი გიორგი მკითხველთათვის კარგად ნაცნობი პერსონაჟები არიან. სიუჟეტის განვითარებაში ნათლად იკვეთება ქვრივის სტოიციზმი (დედაკაცობა) და აღზრდის სისტემა, რითაც შეძლო მამით ობოლი ვაჟის ღირსეულ ვაჟკაცად ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების დასაწყისში დედა უკვე ცალუღელაა, ქვრივია, მისი მოგონებებით მწერალი გვაცნობს მეუღლეს - თევდორეს; მის ხასიათს, ღირებულებებს, წუთისოფლისა და შვილის აღზრდის, მისი პიროვნებად ჩამოყალიბების მისეულ ხედვას. „ე, ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, შეანატვრინო! გაიზარდოს და მერმე თვითონ იცის, თუ იქნება თავისით იყოს, თავისი მარჯვენით კაცობდესო“ (ქართული პროზა 1985: 302). ეს ანდერძი გულისხმობს, რომ გიორგი არ

დაითრგუნოს სიყრმეში. ის გენეტიკური კოდი, რომელსაც საზოგადოება „სხვა ნიშან-წყალს არქმევს“ („მათში ან დიდი ცოდო ტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშან-წყალია“) და ვლინდება თქმისა და ქმნის ერთიანობასა და სამართლიანობაში, ეს კი გაუგებარია წუთისოფლის ანგარებიანი კანონისათვის, თევდორეს ვაჟმა უნდა გაიყოლოს ცხოვრების გზაზე; გაიზრდება და უკვე პასუხისმგებლობა აკისრია: „თავისი მარჯვენით კაცობდეს“.

ზოგადად გაზიარებული შეხედულებაა, რომ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში უმთავრესია მშობელი, როგორც მოდელი. მხარდაჭერა და წახალისება, შემწყნარებლობასთან შეერთებული - ფსიქოლოგიურად გათვლილი სიმკაცრე, მათი ინტერესების, მცდელობების დანახვა და დადებითი უკუკავშირი. ეს დამოკიდებულება არ არის ახალი ეპოქის კუთვნილება, ასეთ მშობელს ჩვენ ვხვდებით სახარებაში. „ძე შეცდომილის“ იგავის მამა ასეთია. ცხადია, იგავი სახისმეტყველებითი სისტემით არის აგებული. საკითხის განხილვისას ჩვენ მხოლოდ ორიოდ სიმბოლოს დავიმოწმებთ: მამისეული სახლი - ღვთიური სასუფეველი, უცხო ქვეყანაში წასვლა- თავაშვებული ცხოვრება, ბეჭედი - სულიწმიდის ნიჭი, ხამლნი - გველის- ცოდვის ქუსლით დასატკეპნად მიეცა ცოდვილთ. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი შერიგებისა და ღირსების ნიშანსაც მოიხილავს ბეჭედში. საგულისხმოა, რომ წმიდა მამათა ნააზრევს მიხედვით, ბეჭედი და ხამლნი - ორივე ერთად თავისუფალი ადამიანის ნიშანია, ვინაიდან მონები ფეხშიშველნი დადიოდნენ. იგავის არსი ასეთია: ურჩ, შეცთომილ ძეს მამამ თავისუფლება უბოძა. ცოდვით დამძიმებული, ტკივილიანი გამოცდილების შემდეგ თავის ცხოვრების გზაზე თვითვე დააკისრა პასუხისმგებლობა. (ძე შეცთომილი დაბრუნდა, რადგან დარწმუნდა, მისი ადგილი „მამის“ წიაღშია. მამა ზეიმით დახვდა და მისსავე ნებელობას მიანდო მისი მომავალი.)

აღვნიშნეთ გენეტიკური კოდი გიორგისა - ჯანსაღი, მაღალზნეობრივი, „სხვა ნიშან-წყლით“ ხელდასხმული. „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში“ გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) ლაკონიურად მიუთითებს: „რომელიმე ადამიანის გენეტიკური ხასიათი საუკუნეებით გადადის ერთი შთამომავლობიდან მეორეზე... არ უნდა ვიფიქროთ თითქოს მოვლინებულ ჩვილს უკვე აქვს ხასიათი, მასში იმის შესაძლებლობაა, რომ შეითვისოს ერთი ხასიათი უფრო, ვიდრე - მეორე, მას გააჩნია პირობები, რომელიც პიროვნებას უმუშავებს უნარს“ (ქიქოძე 2007: 245). სწორედ აქ იკვეთება სამი უმთავრესი პირობა პიროვნების ჩამოყალიბებისა: გენეტიკა, ნებელობა, გარემო (უპირველესად ოჯახი და შემდგომ სოციუმი) მშობელი, როგორც მოდელი - ცოცხალი მაგალითი აღზრდის საფუძველია. იოანე

ოქროპირი ამბობდა: „საქციელითა და ცხოვრებით სწავლება ყველაზე უკეთესია“ (ლსმე 2007: 54), გენეტიკისა და ნებელობის ძირითადი წარმმართველი არის მშობელი.

აღზრდის სისტემაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური კვლევების მიხედვით მშობელთა კატეგორიებზე ყურადღების გამახვილება. ბაუმრინდის, ედლერის, ლევინის ნაშრომებში დახასიათებულია: ავტორიტარული, ავტორიტეტული, პერმისიული (მომთმენი), ინდიფერენტული (უყურადღებო) მშობლები და მათი აღზრდის სისტემა.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან კურტ ლევინი განასხვავებს აღზრდის ავტორიტარულ, დემოკრატიულ და ლიბერალურ სისტემას.

ავტორიტარული აღზრდის პროცესში ბავშვი პასიურია.

დემოკრატიული აღზრდა აღსაზრდელზე ცენტრირებული სტილია, ბავშვის აქტიური პოზიცია მოტივირებულია. ზრდასთან ერთად მან მეტი და მეტი დამოუკიდებლობითა და პასუხისმგებლობით უნდა იმოქმედოს. აღზრდელი ქმნის ნდობისა და ურთიერთგაგების პირობებს.

ლიბერალური აღზრდის სისტემა გულისხმობს მშობელთა ზედმეტ ტოლერანტობას. შედეგად - ბავშვები ვერ აკონტროლებენ თავიანთ იმპულსებს, აქვთ პასუხისმგებლობის დაბალი შეგნება.

ბუნებრივია, ამ სისტემებზე საუბარი გულისხმობს შესაბამის თეორიებს, რაზეც ხელი მიუწვდებათ მშობლებს (სურვილის შემთხვევაში). აღზრდის პროცესში ერთვება სკოლა - მასწავლებლები, ფსიქოლოგები. დღეს აღზრდის მეცნიერება მრავალპროფილიანია და თუ დავსვამთ კითხვას: როგორი აღზრდელია ოთარაანთ ქვრივი (ვინც წერა-კითხვაც კი არ იცოდა) და რის საფუძველზე? გვაქვს უდავო პასუხი: მისი სისტემა აღზრდის შინაგანი ორიენტირი და ზნეობრივი სრულყოფაა.

თანამედროვე კვლევებს თუ მივუსადაგებთ, ოთარაანთ ქვრივი ავტორიტეტული მშობელია, აღზრდის დემოკრატიული სისტემით. უპირველესი დასტური ამისა არის ზოგადი ხასიათის ფაქტობრივი მასალა სიუჟეტის განვითარებაში. აღნიშნული სისტემა აღზრდისა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აღსაზრდელის თვითგამორკვევასა და ავტონომიას, გათვალისწინებულია მისი პასუხისმგებლობაც. სწორედ ამ თვალსაზრისით საინტერესოა მანასაანთ გოლას გამო გიორგის ჩხუბი კუპრანთ თედოსთან.

ცხვირპირდასისხლიანებული, გულისპირჩამოგლეჯილი გიორგის დანახვაზე დედას ელდა ეცა, მაგრამ მშვიდად არკვევს რა მოხდა, რატომ მოხდა და ბოლოს შვილს მოუწონა

სუსტის დაცვა. ამ ეპიზოდშივე იკვეთება დედის ფრთხილი დამოკიდებულება შექებისადმი. საგულისხმოა, რომ კლინიკური ფსიქოლოგის, პედიატრისა და მშობლებისათვის განკუთვნილი სემინარების ხელმძღვანელის ჰაიმ ჯ. ჯინოტის მოსაზრებით, „ჩვენი სიტყვები უნდა ჰგავდეს ჯადოსნურ ტილოს, რომელზედაც ბავშვს შეუძლია თავად დახატოს საკუთარი პოზიტიური პორტრეტი“ (ჯინოტი 2021: 48). „ცხონებული მამაო“, - უხარია ქვრივს ჯანსაღი გენეტიკის ძალა შვილში; გენაცვალოს დედაშენიო, - ფიქრობს. „ეს გულში თქვა და გულშივე დაიმარხა, შვილს ცხადლივ არა უთხრა-რა“. ბავშვი თვითონ მიჰყავს დასკვნამდე, რომ გოლას ქომაგობა სწორი საქციელი იყო: „გოლა ტიროდა?“ - დააზუსტებინა - გაუხარდაო? „მაშინვე დაჩუმდა, აღარა სტიროდა!“

ამ ეპიზოდში დედის შექება ერთადერთ ფრაზაში გამოიხატა: „ახლა უფრო ლამაზიცა ხარ!“ ეს იყო თვითგამორკვევისა და პასუხისმგებლობის სახელდადება, პატარა გიორგისთვის ის მხარდაჭერა „ჯადოსნურ ტილოზე“ საკუთარი პოზიტიური პორტრეტის ხატვას რომ შეეშველებოდა. ის დარწმუნდა, რომ სწორი იყო კუპრანთ თედოსთან დაპირისპირება; მაღლიანი იყო შედეგი - დაჩაგრული იხსნეს მოძალადის შეურაცხყოფისაგან. აქ მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის ხარისხი - ის დადებით ფასეულობას უკავშირდება. განხილულ ეპიზოდში ქეშმარიტ პასუხისმგებლობას, როგორც ღირებულებას, მშობელი ისე უსვამს ხაზს, რომ ბავშვი თვითონ გრძნობს ვითარების წარმმართველად თავს. ოთარანთ ქვრივის ავტორიტეტი შვილის წინაშე ავტორის რამდენიმე ფრაზითაც ცხადია: „მართალს შეჩვეულს თვითონაც (გიორგის - ნ. ფ.) მართალი უყვარდა“... „მართალია და იმიტომაო, - იტყოდა გიორგი დედის საყვედურზე. მართალ ბუნებასთან ერთად ოთარანთ ქვრივს შვილთან ურთიერთობაში ჰქონდა ოქროს შუალედი: „შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავის დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავის სიტყვით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად კი სტუქსავდა“ (ქართული პროზა 1985: 308).

განსაკუთრებით ღრმა და მძაფრი წიაღსვლება ნაწარმოების VII („ჯავრი დედისა“), VIII („გასტეხს ქვასაცა მაგარსა“) და IX („უცნაური ნასკვი“) თავებში. ეს არის გიორგის გამიჯნურება, კესოს სიახლოვის სურვილით მათთან მოჯამაგირეობის დედისთვის ვერგამხელილი სურვილი, დედის შინაგანი შფოთვა და ვარაუდები. აქ ვხედავთ საოცრად ალღოიან, დედაშვილურ ინტუიციამაგმამაფრებულ ქვრივს, შვილის სადარდებლისთვის რომ ვერ მიუკვლევიან. გიორგი ჩაიკეტა: „თითქოს რაღაც წაჰკიდებია და თქმა ეკრძალებო“.

დედის ფიქრებში დაშვებულია: „თუ გული შევარდნია ვისზედმე, რად უნდა მიმაღავდეს!“ ნადირობიდან დანაღვლიანებული გიორგის დაბრუნების გახსენება შიშით ზაფრავს: „ხომ კაცი...ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ!“ შვილის გულდახურულობამ, ამოუხსნელმა სადარდებელმა: გამიჯნურება თუ უნებლიე ცოდვა? - სძლია ოთარაანთ ქვრივი. აქაც შვილზე დარდია ყოვლისმომცველი: „ცოდო, სისხლი, ჩაიქოლე თავი ოთარაანთ ქვრივო, ჩაიქოლე... გულზე ლოდსავით დააწვება და თავის დღეში აღარ აეხსნება“ (ქართული პროზა 1985: 322) გაწონასწორებულად, თითოეული ფრაზის აწონ - დაწონვით ესაუბრება შვილს დედა. ცდილობს მიაკვლიოს, იპოვოს შვილის სატკივარი. არ ჩხრეკს, არ აიძულებს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიემართება და მიაღწია, გატყდა გიორგი:

„- შენი უნებური საქმე მწადინ! ...

მოჯამაგირედ მინდა დავდგე, გული შინ არ მიდგება“.

მოჯამაგირეობა ერთადერთ სახლში სწადია, „ან იქ, ან არსად“, - არჩილთან!

მიხვდა დედა, მოჯამაგირეობის მიზეზი არჩილის და, კესო, უნდა იყოს უთუოდ. „შვილს გადაწყვეტილი არა უთხრა-რა“. დედისთვის მოულოდნელი არ აღმოჩნდა, არც მკითხველისთვის ვლინდება მოულოდნელობის ეფექტი, ისე შეამზადა ავტორმა. ამ ეპიზოდში გიორგის გულჩახვეულობა არ არის განპირობებული მშობლის ავტორიტარულობით. ეს არის გაუცხოების ფსიქობიოლოგიური ფაქტორი (როგორც აკაკი ბაქრაძემ ახსნა), ამავე დროს პასუხისმგებლობა დედა-დედაკაცის წინაშე. ოთარაანთ ქვრივი თანაგანცდის, თანაზიარობის პრინციპით ურთიერთობს შვილთან. თავზე ცის ჩამომხობის ტოლფასია დედისთვის მოჯამაგირედ ეგულებოდეს ვაჟი, ვის ლალ ბავშვობას, მეუღლის ანდერძის ერთგულებით მის აღზრდას შესწირა ყმაწვილქალობა.

გიორგის გადაწყვეტილებას დედამ მხარი დაუჭირა. ისევ შვილის მომავალია უმთავრესი. თუ პატარა გიორგის მამინაცვალი არ დაუსვა და ამისთვის დედაკაცობა იტვირთა, ამჯერადაც განსაზღვრა: „მე დედა ვარ და წამავალი, ის შვილია და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის... მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ ავეფარები“ (ქართული პროზა 1985: 331.) მორჩილებითა და შიშით გადაწყვეტილების შეცვლა პიროვნული ნგრევის ტოლფასია. ეს იცის ოთარაანთ ქვრივმა, ამიტომაც გულის ტეხითა და სულის დუდილით უშვებს შვილს: „დეე, თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკი თვითონ არ იშლის“ (იქვე). ამ გადაწყვეტილების მიღება ღირსეულ, სულიერად ძლიერ, ზნემაღალ დედას შეუძლია

მხოლოდ. აქ უპირობოდ დაძლეულია მშობლის ეგო. ვერანაირი თეორიული ცოდნა აღზრდის სისტემასა და მშობლის ვალდებულებაზე სწორი ფსიქოლოგიური გააზრება დედას იმას, რაც ოთარაანთ ქვრივმა შეძლო, ვერ შეაძლებინებდა. ამ ბოლო გადაწყვეტილებით ის ძლიერი თვითცნობიერების ადამიანია (თვითცნობიერება - აზრი საკუთარი თავის, საკუთარი ყოფიერების შესახებ - გაბრიელ ეპისკოპოსი), აქვს უფლისადმი მინდობა, რაც ნაწარმოების არაერთ ეპიზოდში დასტურდება. (მსჯელობა ცოდვა - მადლზე, ლოცვაზე, სიკვდილისადმი დამოკიდებულება). ასეთი ზნეობა, სტოიციზმი ალღობს გაუცხოების სუსხს, აშენებს ურთიერთობას, თმობს პირადს სულისმიერი სიყვარულისთვის (ამ შემთხვევაში შვილისთვის).

ილია ჭავჭავაძის აღნიშნულ მოთხრობაში აღზრდის სისტემაზე ვსაუბრობთ ერთი კერძო შემთხვევით, მაგრამ ეს იყო რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყანაში ზოგადი ხასიათის მოვლენა, რომელსაც ქმნიდნენ იაკობ გოგებაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), ილია ჭავჭავაძე და მათი თანამოაზრეები. ჰუმანური და პროგრესული პედაგოგიური იდეებისთვის ბრძოლა იაკობ გოგებაშვილისა იმპერიასთან შერკინება იყო ფაქტობრივად (ამ პროცესებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი - „ბურჯი ეროვნებისა - იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა“), რასაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა. სწორედ იაკობ გოგებაშვილმა აკრძალა ბავშვისადმი ავტორიტეტული დამოკიდებულება, სწავლების პრინციპი დააფუძნა პრინციპზე „მარტივიდან რთულისკენ“, მაგალითებით (რეალობასთან კავშირით) სწავლებაზე.

დასკვნა:

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარი პერსონაჟი ოთარაანთ ქვრივი საქმით მეტყველი სულით ხელდასხმული ადამიანია (აკაკი ბაქრაძე). დედაკაცია - „ფარხმალიანი ქალი“. მისი შინაგანი ნათლის, ბუნებითი გონიერებისა და შორს მჭვრეტელობის უარსებითესი დასტურია მისი აღზრდილი გიორგი - „ცოცხალი ხატი ღირსებისა.“ ამ „ღირსების“ შემოქმედი, როგორც მშობელი არის ოთარაანთ ქვრივი - ცალუღელა დედა. ნაწარმოებში იკვეთება მისი სახე, როგორც მშობლის მოდელისა. ჩვენი მსჯელობის დასკვნით ნაწილში აღვნიშნავთ:

1. ოთარაანთ ქვრივი არის ავტორიტეტული მშობელი, მისი აღზრდის სისტემა არის დემოკრატიული.

2.ქვრივის ავტორიტეტულობა და დემოკრატიული აღზრდის მთავარი საყრდენი - ნდობისა და ურთიერთგაგების პირობები, არის მისი ბუნებითი მდგომარეობა და არა - შეძენილი (ოთარაანთ ქვრივმა წერა - კითხვაც კი არ იცოდა).

3.ოთარაანთ ქვრივის სტოიციზმისა და ჩვეულებრივობის სიბრტყეზე მაღლა ყოფნის ერთგვარი შესაკრებელია გიორგის მოჯამაგირეობის დათმობა. დედა აქ მხოლოდ საკუთარ ინტერესს კი არ თმობს (ღირსეული ოჯახის შვილს მოჯამაგირეობა არ ეკადრება, თვითონ მარტო რჩება), გიორგის მომავალიც ბუნდოვანია, „მაგრამ დაუდუღარ მაჭარს სარქველი არ დაეხურება“. ოთარაანთ ქვრივი თავის ერთას -თვალისჩინს ტოვებს (ნებას აძლევს) გამოცდა - განსაცდელის წინაშე, რადგან ეს გზა მისი გასავლელია. (გადაწყვეტილებას იღებს შვილის პოზიციიდან).

4. ოთარაანთ ქვრივის, როგორც აღმზრდელის დახასიათება ავსებს მოსაზრებას, რომ ეს პერსონაჟი ღირსეული მხატვრული სახეა „საერთო ტიპთა გალერეაში... შემაერთებელია ქალურ სინაზის და მამაკაცური მტკიცე ნებისა და მით მსოფლიო პანთეონის დამამშვენებელია... ოთარაანთ ქვრივი წმიდა ნაციონალური ტიპია“ (ვახტანგ კოტეტიშვილი).

5.საგულისხმოა და მსჯელობა -კვლევისთვის ვრცელ მასალას მოიცავს საკითხი პედაგოგიური აზროვნების შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. ჩვენ მიერ ხაზგასმული შტრიხებითაც ცხადად ჩანს, XX საუკუნის 30 -იანი წლების მოაზროვნის კურტ ლევინის დამოკიდებულება აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლებისადმი იაკობ გოგებაშვილისა და გაბრიელ ქიქოძის, ილია ჭავჭავაძის ნააზრევში უკვე გამოკვეთილია - (ათწლეულებით უსწრებს).

ლიტერატურა :

გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), *ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები*, თბ., 1993.

ილია ჭავჭავაძე, წერილები, („პატარა საუბარი“), თბ., 2010.

ქართული პროზა, ტ. VIII, თბ., 1985.

ღსმე: *ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია* თბ., 2007.

წმიდა ნიკოლოზ სერბი, *ფიქრები სიკეთესა და ბოროტებაზე*, თბ., 2003.

ჰაიმ ჯ. ჯინოტი, *მშობელსა და შვილებს შორის*, თბ., 2021.

ზაქარია გიუნაშვილი, *აღზრდის სტილი და მისი მნიშვნელობა ბავშვის პიროვნების ფორმირებისთვის* (Mastsavlebeli. Ge 25. VI. 23).